ერი

№ 13

წელიწადი მეორე

1914

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

შაბათი, 18 იანვარი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

„რადიუმი“

ხუთშაბათიდან, 16 იანვრიდან ახალი პროგრამმა.

I.

პ ა ტ ა-უ ღ რ ნ ა ლ ი.

II.

ხუმარის ნიღაბ ქვეშ.

დრამა 3 ნაწ.

მონაწ. იღებენ ამ სურათში ლიდა კარამბა და ლ. ბერნარ.

III.

ფრივოლ-შერლოკ-ხოლმსი

კომიკური.

დასაწყისი $5\frac{1}{2}$ ს.

დაწვრილებით პროგრამაში.

ანონსი: ამ მოკლეხანში ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი.

ბაიაღერკას თვალები.

დრამა 4 ნაწ.

პირველი რუსული მხატვრული სურათი.

დაწვრილებით აფიშებში.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ე რ ი“

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის	1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.

მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ივანოვის ქუჩა. ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ.

ქუთაისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაცია გულითად მწუხარებას უცხადებს თავისი დაუვიწყარი წევრის

ნატალია ლუკა ქორქაშვილის ასულის

გარდაცვალების გამო მის გულდამწვარ ქრისტოფორეების გლოვას და აუწყებს ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ შაბათს, 18-ს იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე სასწავლებლის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლათ.

ქუთაისის ქალთა წრის გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ წრის გამგეობის მდივნის

ნატალია ქორქაშვილის ასულის

გამოსვენება დანიშნულია კვირას, 19 იანვარს, დილის 10 საათზე რკინის გზის სადგურიდან საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე.

ქვრივი ვერა დავითის ასული უგრეხელიძისა, შვილები მისი—არჩილ, თალიკო, დავით და გურამ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

პლატონ დიმიტრის ძის უგრეხელიძის

გარდაცვალებას, დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე მოხდება კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება—საკუთარი სახ. ივანოვის ქუჩა. პანაშვიდები ყოველ დღეს საღამოს 5 საათზე.

ინჟინერი გრიგოლი, აკაკი, ალექსანდრე, ოლღა, ოლიმპიადა, ძენი და ასული ლუკა ქორქაშვილისა; კნ. მარიამ ჩიქოვანისა და თ. ვარლამ ჩიქოვანი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი დის და უკანასკნელი ცოლისდის

ნატალიას (ნატაშას)

გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება დანიშნულია კვირას, 19 იანვარს, დილის 10 საათზე, რკინის გზის სადგურიდან საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე.

ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდის შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

ქალაქის თეატრი

დღეს, 18 იანვარს,

რუსული ოპერეტის დასის მიერ ცნობილი მსახიობების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მუზიკალური ოპერეტა.

რომეო და ჯულიეტა.

ანუ (მეფე მხიარულობს)

დასასრულ დიდი საოპერეტო კაბარე.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია.

რეჟისორი ბ. გალერიანოვი. დირიჟორი ბ. გორიანინოვი

ქუთაისი.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე.

პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს.

მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

18 დეკემბრიდან

დაიწყო ხელის მოწერა

ია ეკალაძის (ი. ცანცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.

ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ კ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი ია. ცინცაძე.

1914 წლის 2 იანვრიდან

ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვრის პირდაპირ გაიხსნა

კანცელარია

ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

2 января 1914 года

въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

КОНТОРА

НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.

ქუთაისი

პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რედიგინის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . .	1—2
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის	10—12
ა. ა. რედიგინი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო	11—12
მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½ 2

ს ა ღ ა მ ო თ.

გ. დ. ქორქაშვილი—თვალის	$4\frac{1}{2}$—$5\frac{1}{2}$
ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ.	$5\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

ექიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

დიდი საფრთხე.

ას ათი წელიწადი შესრულდა, რაც საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველოს ხსენება მოისპო, ამით არ დაკმაყოფილდნენ და დღეს სისტემატიურათ ცდილობენ მის ეკონომიურათ განადგურებას. უკანასკნელი საუკუნის ჩვენი ისტორია სავსეა ისეთი ფაქტებით, რომელზეც განკერძოებით ალებულ-განხილული კრავის უმანკო მანტიაში გვეჩვენება, მაგრამ საკმაოა ასეთ მოვლენათა მთელი კომპლექსის შესწავლა განხილვა, რომ ნათლათ წარმოვიდგინოთ ის მთლიანი იდეა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ დიდს საფრთხეს. უხსოვარი დროიდან ამ სამეურნეო ქვეყანაში იმ თავითვე უკუაგდეს ადგილობრივ მკვიდრთა სამეურნეო ინტერესები და საგანგებო ბალმეჯლისების გამართვით ხელი შეუწყეს ჩვენი ეროვნული სიმდიდრის განიავებას. მთელი საუკუნის განმავლობაში ხელოვნურათ აგეხილმა მაგრილებელმა ნიავმა, თითქმის, მთელი ხორბალი ჩვენ მიერ ნალეწი პურისა მეზობელ კაპიტალისტების კალოზე მიიტანა და ამ უკანასკნელთა მადაც შესაფერისათ გაალვიძა. მართალი უთქვამთ, მადა ჭამის დროს მოდისო, მაგრამ, როგორც ჩანს, იცვლება სულიერი განწყობილება არა მარტო მადიანათ მჭამელის, არამედ ამ უკანასკნელის მიერ ნადავლი საჭმლის თვით ძველი პატრონისაც კი. გავიხსენოთ ჩვენი პრესის მიერ ქართველთ ტერიტორიის, სახელდობ ნავთლუღის შეუბრალებლათ ჩაქოლვა და ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ თუ სომხის ერის ფულიანებს ჭამის დროს დიდი მადა მოსვლიათ, ჩვენც, ქართველებსაც, მადიან მჭამელთა ყურებით მრუდე შეხედულება შეგვითვისებია. და მართალია ჟურნალი „კლდე“, რომელიც ამბობს, რომ ნავთლუღის ქარები ისევ ჩვენი ქარებიაო. შეიძლება მოვიდეს დრო, რომ სოლოლაკელებმა და სხვამაც მიატოვოს ნავთლუღი, მაგრამ ქართველობა ვერაოდეს ვერ დასთმობს თავის ტერიტორიას, თუგინდ ეს უკანასკნელი ქარებიანი ნავთლუღი იყოსო.

ჩვენში ეს სიტყვები ბევრს შოვინიზმათ მოეჩვენება, მაგრამ მას უდევს სარჩულათ სრულიად საღი ეკონომიური მოსაზრება. სომხობის დიდი ნაწილი ევროპის ებრაელების მსგავსათ, ტიპიური ვაჭარი ხალხია, რომლის სამშობლო იქ არის, სადაც მის ფულებს მეტი სარგებლიანობა მოელის. საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ლუდვიგ ბერნჰარდი პრუსიის პოლონეთში მცხოვრებ ებრაელებზე. ქალაქ პოზენში 1840 წელს ებრაელები შეადგენდენ მცხოვრებთა 21 პროც., 1905 წ. კი—4 პროც. მეზობელ შვერ-

ზენცში 1840 წ. ითვლებოდა 55 პროც. ებრაელი, 1906 კი—მხოლოდ 7 პროც. კურნიკში მათი რიცხვი 43 პროც. დან 4 პროც.-მდი ჩამოვიდა, შრიმში 27 პროც.-დან—6 პროც.-მდი, ნიოშტადტში 33 პროც.-დან—8 პროც.-მდი, სანტომიშელში 38 პროც.-დან—4 პროც.-მდი, კროტოშინში 32 პროც.-დან—7 პროც.-მდი და სხვა. აუცილებელია ამგვარივე მომავალი ნავთლულ-სოლოლაკის პლუტოკრატიისა და თუ დღეს ნავთლულს ელოლიავება ჩვენს დედაქალაქში მოკალათებული სოლოლაკელობა—ეს მხოლოდ იმისთვის, რომ იქიდან ჯერ კიდევ სასარგებლო სანავარდოა იოლათ საფცქვენ „ვრაცისტანში“. იმ დღიდან, როდესაც ქართველი ერი დარწმუნდება უცხოთ მყვლეფელებისგან თავის დაწევის საჭიროებაში—ნავთლულ-სოლოლაკის ახლანდელი ბატონები იქთვე გაფრინდებიან, საიდანაც მოფრენილან. მანამდი კი ჩვენ მოწმე ვიქნებით თავაშვებული ბურჟუაზიის სომხური შოვინიზმისა და ჩვენი მოვალეობაა ხელი შევუშალოთ ქართველ-სომეხთა მშრომელი ხალხისთვის მათს დამლუპველ მოქმედებას. იყო დრო, როდესაც სომხის შოვინისტები დაძრწოდენ სოფელ-სოფელ და ქართველთა ისტორიული ნაშთების ძარცვა-ნგრევით ლამობდენ თავისი ისტორიის სასურველათ დასაბუთებას. მაგრამ იმ დროს კიდევ გრძნობდენ სიფრთხილის საჭიროებას. ყოველ შემთხვევაში თავის მოქმედებას შესაძლო საიდუმლოებით ფარავდენ.

ახლა კი, როგორც ჩანს, ჩვენი სისუსტე იმდენათ ათამამებთ მათ, რომ საქართველოს მოსპობის პროექტებს უკვე აშკარათ ადგენენ, და არა საიდუმლოთ, არამედ ყველასთვის ცხადათ, თვით ოფიციალურ დაწესებულებათა და პირთა თანამშრომლობით. „კლდის“ 2-ე ნომერთან ჩვენ მივიღეთ პროექტი ამიერ-კავკასიის გუბერნიების საზღვრების გადამიჯვნისა, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მოსპობის პროექტის ერთ შემადგენელს ნაწილს. განუზრახავთ თფილისის გუბერნიას გამოგლიჯონ მთელი მესამედი ნაწილი და მიაკერონ ერევნის გუბერნიას, რომლის კანონმდებლობითაც დადასტურებას სომხის შოვინისტებთან ერთად სხვანიც ცდილობენ. ამავე დროს მებრძოლ სომეხ-კაპიტალისტთა ავანგარდი მანთაშევის სახით უკვე შემოიჭრა გორის მაზრაში და მის ხელში ჩაგდებით ლამობენ გამოსჭრან თვით გული საქართველოსა. ყველა ამას დავუმატოთ დონის როსტოვის საადგილმამულო ბანკის დაფინებული მეცადინობა გორის მაზრაში ოპერაციების დაწყებისა და ჩვენთვის უკვე ცხადი იქნება ის საშინელი პროექტი, რომლის დამადარიც თვით შაჰბაზის ფანტაზიასაც ვერ შეუქმნია. ზევით ჩვენ მოვიხსენეთ პრუსიის პოლონეთში გერმანელ შოვინიზმის იარაღათ გამხდარ ებრ ელთა რიცხვის თანდათანობითი შემცირება, რაც შედეგია პოლონელთა ეროვნული და შეგნებული თავის დაცვისა. მათმა თავდადებულმა კულტურულმა მუშაობამ იხსნა პოლონეთის ტერიტორია გერმანელთა ტალღის წალეკისგან, და, როდესაც გერმანელთა პროფესორმა ბერნჰარდმა მეცნიერულათ დაამტკიცა, რომ გერმანიის სახელმწიფოებრივობის ძალისა და ქონების სუსტ პოლონელთა მიერ დამარცხების მიზეზები იმალება დაჩაგრული ეროვნების საერთო მისწრაფებით გამსჭვალვისა და ბრძოლის საიდუმლოებაში, საუკეთესო საბაბი მიეცათ გერმანელ შოვინისტებს ისეთივე ბრალდებები შეეთხზათ პოლონელი სამღვდელოების წინააღმდეგ, როგორათაც ხშირათ ამკობენ ჩვენს სასულიერო წოდებას ვოსტორგოვისებური კაციჭამიები. აი, პასუხიც, რომელიც გასცა პოლონელთა სამღვდელოების წარმომადგენელმა კაზიმირ ციმერმანმა გერმანელთა შოვინისტურ პრესას:

„კათოლიკე სამღვდელოების სოციალური მოღვაწეობის Magna charta-თ ითვლება ენციკლიკა „Rerum novarum“ 15/2—1891 წლ., რომელიც მიმართულია მევახშეთა მიერ ერის გაყვლეფის წინააღმდეგ და რომლის დაგზავნითაც განსვენებულმა არქიეპისკოპოზმა შტალევსკიმ მოუწოდა პოლონეთის სამღვდელოებას—ეზრუნათ ხალხის ზნეობრივს ეკონომიურ აღორძინებაზე ორგანიზაციების საშვალებით. თუ კათოლიკური ეკლესია მოითხოვს თავის მსახურთაგან, რომ მათ შეებრძოლონ ლოთობასა და ერის მევახშეთ, რომლის შესრულებაც შეუძლებელია ძველებური პასტორიზაციით (ქადაგებით), სამღვდელოება მოვალეა ამისათვის შესაფერისს თანამედროვე საშვალებს: პრესას, წრეებს და ამხანაგობებს მიმართოს“. ნუთუ დღევანდელს ისტორიულ მომენტში საქართველოს მართლმადიდებელი და მაჰმადიანი სამღვდელოება ვერ გამოსძებნის თავის „Rerum novarum“-ს და უმოქმედოთ იქნება, როდესაც მათს სამწყოსს, საქართველოს, ძალდატანებით მოსპობას უპირებენ. ჩვენ არას ვიტყვით კათოლიკე ეკლესიაზე, რომელმაც ღირსეულათ შეასრულა თავისი მოვალეობა პოლონელთა ერის ცხოვრებაში. ჩვენ ღრმათ გვწამს რომ კათოლიკეთა ეკლესია საქართველოშიც არ უღალატებს თავის ტრადიციას. ამ წერილით ჩვენა გვსურს ყურადღება მივაქციოთ მართლმადიდებელისა და მაჰმადიან ეკლესიებისა და საზოგადოებას გარეშე მყოფის ქართველი ინტელიგენციისა იმ გამანადგურებელ ცეცხლზე, რომელიც ანთო სომხის ბურჟუაზიამ. ასეთ შემთხვევაში თავისუფალი ერები, რომელთა „თავისი თავიც თვითვე ეყუდნის“ გამოაცხადებენ ისეთს წესებს, რომელიც გამოიხატება თავის დაცვის სასარგებლოთ კერძო პიროვნების თავისუფლების შეზღუდვაში.

ჩვენ კი, დიდიხანია, ჩვენი თავი ჩვენ არ გვეყუდნის და მით იურიდიული საშვალება გვაკლია ეროვნული უბედურების ასაცილებლათ კერძო პიროვნებათა კანონმდებლობითი უფლების შეზღუდვის. მაგრამ ნურავინ დაივიწყებს, რომ პარიზში მოსწავლე ქართველი ამხანაგობის სიტყვებით თვით ჭეშმარიტება ლაღადებს, როდესაც ისინი სწერენ (იხ. „კლდე“ № 33 გვ. 9), რომ: „ბოროტმოქმედებათა სიმძიმით წელში დაღრეკილი საქართველო და მისი მესაიდუმლე, ეროვნული ადორძინების პატენციალი—ქართველი ახალგაზდობა—ვერავის მისცემს იმის უფლებას, რომ სჩრან და აჭრელონ ალმა-ალმა სხეული ქართველთ ერისა“. ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს გულწრფელათ შევუერთდეთ ამ განცხადებას და მასთან დავსძინოთ, რომ როგორც მართლმადიდებელმა და მაჰმადიანმა სამღვდელოებამ, ისე მთელმა ქართველმა ინტელიგენციამ, დაბალმა თუ მაღალმა წოდებამ, დაუყონებლათ უნდა შეიმუშავოს თავისი „Rerum novarum“ ამ საერთო, ეროვნული განსაცდელის თავიდან ასაშორებლათ. მჭიდროთ დასახლებულ საზოგადოებათა მოძღვარნი მოვალე არიან მიწის სივიწროვით შეწუხებულ თავისი მრევლის წევრებს გადასახლების გზა უჩვენონ, ინტელიგენციამ კი აუცილებლათ უნდა დაიბეგროს თავი და მოაგვაროს ქართლ-კახეთის კოლონიზაციისათვის ხელის შემწყობი ორგანიზაცია. არ უნდა დაგვჭირდეს იძულება, არამედ ჩვენივე ნებით, აღვიაროთ ზნეობრივი სამხედრო წესები, კარზე მომდგარი განსაცდელის თავიდან აცილებაზე მიმართული: ყოველმა ფიზიკურათ თუ გონებრივათ მომუშავე ქართველმა უნდა გადასდვას თავისი ნაშრომის ნაწილი ქართლ-კახეთში მიწის შესაძენათ. ყოველი სასულიერო პირი ახლავე უნდა დაეხმაროს თავისი სამწყოსს უმიწაწყლო, წევრებს გადასასახლებელ ადგილებზე მითითებით და მასთან უნდა აუხსნას მათ, რომ, თუ დროზე არ იშოვა ახალი სამოსახლო, მოკლე მომავალში ეს მისთვის სრულიად შეუძლებელი იქნება საქართველოში და შემდეგ იძულებული გახდება არა მარტო სამშობლო სოფელს, არამედ მთელს სამშობლო ქვეყანას სრულიად გაშოეთხოვოს.

ქართველმა ვაჭარმა ერთი ნაწილი თავისი საწარმოო თანხისა უნდა მოახმაროს დიდი მამულების ყიდვასა და მისი ნაწილ-ნაწილათ გაყიდვაში საჭირო შვამავლობის საჭიროებას და დაკმაყოფილდეს ნაკლების სარგებლით, ვიდრე ამას ღებულობს სხვა დარგში შვამავლობით.

ისეთებმა კი, ვისაც ვაჭრობაში დიდი ქონება შეუძენიათ და ახლა მოსვენებულათ ცხოვრობენ თავისი მილიონების „ურისკო“ პროცენტებით, კარგათ უნდა იცოდენ, რომ მათ სიცოცხლეს ზნეობრივი ბედნიერება დააკლდება, თუ თავისი ქონების მცირე ნაწილს მაინც მანთაშევისებურათ არ მოიხმარენ, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი თუ შესევის ინტერესებს ემსახურება, ჩვენმა ფულიანებმა მხოლოდ თავისი დაცვის, მოგვრების ინტერესებს უნდა ემსახურონ.

თავად-აზნაურობა და მათი შვილები კი, თუნდ ეს უკანასკნელნი თავისი მიმართულებით წოდებრივობის უარისმყოფელნი და უკიდურესი დემოკრატებიც იყვენ, ერის წყევლა კრულვას ვეროდეს აიცდენენ, თუ თავისი საქმით, პირდაპირ თუ არა პირდაპირი მოქმედებით სამშობლო მიწის უცხოთა ხელში გადასვლას დაეხმარებიან.

და როდესაც ასეთ წესებს ცხოვრებაში გავატარებთ, საქართველოს მოსპობის პროექტების თხზვასაც საუკუნოთ ბოლო მოეღება.

ბიტლარ ასათიანი.

ᲛᲝᲜᲐᲗᲔ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ

— საბერძნეთის ინკინდენტის გამო ელზასი-ლორენის მთავრობა სამსახურიდან გადადგა.

— საბერძნეთის პირველმა მინისტრმა ვენეზელოსმა ბერლინში ინგლისისა და ავსტრო-უნგრეთის ელჩები ინახულა.

— ბულგარეთის მთავრობამ დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ნოტა გადასცა, სადაც ჩამოთვლილია საბერძნეთის ჯარის ომის დროს ჩადენილი ამაშფოთებელი საქმენი.

— ოსმალეთსა და სასტერანეთს მორის დამოკიდებულება ძალიან დაწვენდა და ოსმალეთი დიდ-სომარ მზადებაშია.

— დანიაში ქალებს სახელმწიფო სამსახურში მამაკაცების უფლება მიანიჭეს.

— რუმინიის პარლამენტი დაითხოვეს.

— კიევის კომერციულ ინსტიტუტში პოლონელ სტუდენტთა წრე დახურეს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ.

თდღევანდელ ნომერში ჩვენც ვათავსებ სომხური გაზ. „მშაკიდან“ ბ. ა. არაქელიანის წერილს. „სახალხო გაზეთი“ სიამოვნებით ეგებება ამ მოწოდებას და სწერს, სხვათა შორის:

ჩვენი—ქართველებისა და სომხების ძალა ჩვენსავე ერთობაშია და შეთანხმებაში. მაგრამ, შეთანხმება რომ რეალური იყოს და არა ფიქციური, აუცილებლათ საჭიროა ქართველებმა და სომხებმა მეტი გულწრფელობა შეიტანონ ამ საკითხის გამორკვევის დროს და შეეჩვიონ იმ აზრს, რომ საჭიროა პატივისცემა ერთმანეთის უფლებებისა და ინტერესებისა. იქ, სადაც ეს ორი პირობა დაცული არ არის, ძნელია მკვიდრი სოლიდარული კავშირის დამყარება...

და შემდეგ:

ურთიერთისადმი მძულვარება და უთანხმოება ჩნდება მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთს არ ვიცნობთ და ერთმანეთის გულის ნადები არ ვიცით. ის, ვინც ხელს შეუწყობს ასეთს დაახლოებას, თანაგრძნობის ღირსია, და ჩვენც დიდი სიამოვნებით მოვუწოდებთ ქართველ ინტელიგენციას, ხელი შეუწყოს ამ დაახლოებას.

ჩვენც ხელს გაწერთ ასეთ მოწოდებასა და სურვილს... ხოლო საჭიროა ეს „სახარება“ მარად გადაშლილი წინ ედვას იმ ნაწილს თფილისის სომხებისას, რომელთა ინტელიგენტობაზეც საბუთი არა გვაქვს ეჭვი გამოვსთქვათ.. აი, თუნდა სოლოლაკელნი ავიღოთ და მათი ბელადნი ხატისოვ—არგუთინსკები.

ᲓᲔᲞᲔᲨᲘ.

პეტერბურგი. ამასთანავე თფილისს ვაგზავნი საბუთებს, რომ ის ძალით ცილისწამებისთვის სამართალში ვაძლევ „ფიქრის“ რედაქციას. **გელოვანი.**

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ

ᲥᲔᲚᲘᲨ-ᲑᲔᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲨᲘᲫᲔ,

(ისტორიული ამბავი).

გუძღვნი ბ. თამარ მიხეილ შარვაშიძის ასულს ფიდაგასს.

აფხაზეთი და აფხაზები, საქართველოს ისტორიაში, ცნობილია პირველათ მეხუთე საუკუნის დამლევიდან, როდესაც საქართველოში მეფობდა ვახტანგ პირველი—გორგასლანი.

აფხაზები თვითონ უწოდებენ თავის თავს „აბსუა“-ს და ეკუთნიან ჩერქეზების მოდგმას.

აფხაზეთით ძველათ, ჩვენს ისტორიაში, როგორც მოგვითხრობს განსვენებული ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, იგულისხმება იმერეთი. სიტყვა „იმერეთი“ პირველათ შემოვიდა ხმარებაში დავით აღმაშენებლის დროს, ესე იგი მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში (1089—1125 წ.). ლიხის მთის გადალმა მდებარე ქვეყანას ეწოდება ამერეთი და აქით კი იმერეთი. საზოგადოთ ისტორიულ გეოგრაფიაში, ამბობს იგივე მწერალი, ხშირია იმგვარი მოვლენა, რომ სახელწოდება ერთი მხარისა ეძლევა და ეთვისება მეორე მხარეს შემთხვევით, სრულებით მოულოდნელათ.

აფხაზეთის ერისთავნი, თუმცა ისხდენ აფხაზეთში, მაგრამ როდესაც ამათ მითვისეს მეფის ხარისხი, მაშინ თავისი რეზიდენცია ქუთაისს გადაიტანეს და თვით სახელწოდება აფხაზეთისა მიათვისეს იმერეთს.

ამისთვის, როდესაც ძველ მწერლობაში ვკითხულობთ: „აფხაზეთის სამეფო სახლი, აფხაზეთის კათალიკოზი, აფხაზეთის ერი, „აფხაზეთის სამეფო“—ამ სიტყვებათ იგულისხმება: იმერეთის სამეფო სახლი, იმერეთის ერი, იმერეთის კათალიკოზი და სხვ.*).

მაშ ეს სიტყვები ამგვარის მნიშვნელობით იხმარება მხოლოდ დავით აღმაშენებლის გამეფებამდი, ესე იგი მეთორმეტე საუკუნის დასაწყისამდი (1089—1125 წ.). ამას შემდეგ კი იმერეთს თვისი სახელი რჩება და აფხაზეთს კი თავისი.

აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებას, ხანგრძლივს ისტორიულ მსვლელობაში, ბევრჯერ უცვლია ფერი, ბევრი შავი დღე გათენებია მის თავგანწირულს მებრძოლ შვილებს. ბევრი ჭირ-ვარამის მოწმეა დღევანდელი ჩვენი აფხაზეთის, ცათამდი აყუდებული მაღალი მთები და გაშლილი ველები!..

ორასორმოცდაათი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდი, მოგვითხრობს ქართველი მემატიანე, მდ. ეგრისის, ანუ დღევანდელი ენგურის დასავლეთით მდებარე ქვეყანა, ანუ დღევანდელი აფხაზეთი ეკუთნოდა ბერძნებსო.

ეს მოთხრობა სინამდვილესთან ძლიერ ახლოა, რადგან ვიცით, რომ ქრისტეს დაბადებამდი, მეშვიდე საუკუნეში, საბერძნეთიდან გადმოსულმა ხალხმა აფხაზეთის მახლობლათ გააშენა ახალშენი და გამართა ვაჭრობა, კავკასიის შემწეობით, აზიისა და ინდოეთის ქვეყნებთან.

სტრაბონის სიტყვით, ინდოეთიდან ევროპაში ამ დროს აუარებელი საქონელი გგზავნებოდა. ეს საქონელი სურამამდი მდინარით მოქონდათ. სურამიდან დაწყებული შორაპნამდი 120 პატარა ბიდი იყო გაკეთებული და საქონელი ურმებით, ხან ცხენ-ბით გადაქონდათ. შორაპნის ცხენ-ურზარმაზარ ქალაქსა გავდაო. ამ ციხეში აწყობდენ საქონელს და აქიდან შემდეგ მდ. ყვირილიფასაწყ[illegible] ონით ეს საქონელი ევროპაში იგზავნებოდაო.

ამ დროს შესანიშნავ ახალშენებათ ითვლებოდა: ბიტიუსი, ანუ დღევანდელი ბიჭვინდა, რომელიც სტრაბონის დროს დიდ ქალაქათ ითვლებოდა: ბზიფი, ანუ ლიხნა, იგივე სოუქ-სუ, რომელიც მდებარეობს დ. გუდაუთიდან სამი ვერსის მანძილზე და დღეს მის სიდიადეს მხოლოდ ხავსით მოსილი ძველი ეკლესიის ნანგრევები თუ მოწმობს. მაშინ, როდესაც ეს ქალაქიც ერთ დროს ნეტარებით ცხოვრობდა, აქაც ერთ დროს ყვავოდა სიცოცხლე, მხიარულობდა აფხაზის გული, მისი ზეალმაფრენი მისწრაფებანი!!. ანაკოფია, სადაც დღეს გაშენებულია ათონის მონასტერი. დიოსკურია, რომელსაც რომაელები სებასტოპოლისის ეძახდენ,—ჩვენი სოხუმი. „და მივიდეს სევასტე ქალაქსა, რომელსა აწ ეწოდების ცხომი“**).

„ცხუმი“ ნიშნავს „ცხელსა“ და წარმომდგარია ქართულისაგან: ცხუნი, ანუ ცხუნება.**) ფაზისი, რომელიც მდ. რიონზე იყო გაშენებული და დღეს კი ზოგს ქუთაისათ მიაჩნია და ზოგს კიდევ ფოთ დ...

შემდეგ ილორი, ბედია, მოქვი და ბევრი კიდევ სხვა...

ეს ახალშენები თავისუფალ ქალაქებს წარმოადგენენ. ყველას თავისი განსაკუთრებითი ერისთავები ყავდათ. ყველა თავის ჭკუითა და მართველობით განაგებდა საქმეებს. ბედნიერი ხანა იყო ეს ხანა ხალხისთვის. თავისუფლათ აზროვნებდა და მოქმედობდა თვითოეული მკვიდრი ამა ქვეყნისა; მაგრამ, საუბედუროთ, ძლიერ ხანმოკლე და სწრაფლ წარმავალი შეიქნა იგი.

*) ისტ. დ. ბაქრაძისა.

*) ქართული ცხოვრება გვ. 1,46.

**) დ. ბაქრაძე, გვ. 273.

მეფე მიტრიდატმა, ხანგრძლივ ომებს შემდეგ, ეს ახალშენებიც ხელში ჩაიგდო და მისი პოლიტიკური თავისუფლებაც რომის იმპერატორს დაუმორჩილა... მონობას ქვეშ მყოფი ხალხის ბედი ხომ ყველგან და ყოველთვის შელახული და დაჩაგრულია. აფხაზეთსაც არ აცდა ეს ბედი.

ხანგრძლივი და მუდმივი მონობას ქვეშ მყოფი აფხაზეთი მოიქანცა, დაილალა და იქამდი გაერანდა, რომ რომის იმპერატორის დიოკლეტიანეს დროს, აფხაზეთი ქრისტიანების სასჯელის მოსახდელ ადგილათ შეიქნა ცნობილი:—აქ გზავნიდენ, როგორც ქრისტიანებს, ისე ყოველგვარ ავაზაკებს და სასჯელს ახდევინებდენ...

როდესაც ლაზისტანში ბერძნებს სპარსთა შორის ომი ატყდა, აფხაზები ბერძნებს მიემხრენ და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ ხანგრძლივსა და სასტიკ ომში, რომელიც ეს წელზე მეტი გაგძელდა. ბოლოს კი (545 წ.) თუმცა სპარსელებმა გაიმარჯვეს, დაიმორჩილეს ლაზისტანი და აფხაზეთიც, მაგრამ ხანგრძლივი არ იყო ეს გამარჯვება.

მალე გარემოება შეიცვალა. ბერძნებმა მხარი მისცეს ლაზებს და სპარსელების მეტი ყურადღება გამოიწვიეს. სპარსელებმა აფხაზეთს გვერდი უქციეს და ლაზისტანის ხელმეორეთ დამარცხებას შეუდგენ.

აფხაზებმა ფხიზლათ შეხედეს ამ გარემოებას. მშვენიერათ გამოიყენეს ეს თავისუფალი დრო. ისარგებლეს ამ შემთხვევით და თავისი წრიდან ამორჩეულ პირებს, მეფის ხარისხი მიანიჭეს. მისცეს მათ ხალხის მართვა-პატრონობის უფლება და თავისი პატარა ქვეყნის, თვისი საყვარელი სამშობლოს პოლიტიკური თავისუფლების გამაგრებას შეუდგენ.

საბერძნეთს არ მოეწონა აფხაზეთის ამგვარი მოქმედება, ამ გამოფხიზლებას სულ სხვა თვალით შეხედა და მალე ისევ აფხაზეთის წინააღმდეგ ამხედრდა.

550 წელს ბერძნებმა აიღეს საუკეთესო თრახეის ციხე-სიმაგრე და აფხაზები კვლავ დაიმორჩილეს.

ეს ციხე აფხაზებმა ააგეს თვით ამ ხეობის შემოსავალში იმ მიზნით, რომ მტრებს არ ქონებოდა ღონისძიება აფხაზეთის შუაგულში შემოსულიყო და ქვეყანა აეწიოკებია. მაგრამ ძალამა და უფლებით შემოსილმა ვაჟკაცობამ მაინც გაიმარჯვა და აფხაზები ბერძნებმა ისევ თავის ქვეშევრდომებათ გამოაცხადეს...

ამნაირათ აფხაზეთმა კიდევ დაკარგა თავისუფლება, იგი კვლავ ჩავარდა სხვის ხელში, სხვის მონობაში.

მაგრამ ამან ვერ შეაშინა აფხაზი. მისი კლდე-მაგარი ხასიათი, მებრძოლი არსება, ერთხელაც არ შემდგარა, არ შეუწყვეტია ბრძოლა. იბრძოდა იგი თვით არსებობისა და თავის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი თავისუფლების დასაცავათ.

აფხაზი ვერაოდეს ვერ ურიგდებოდა სხვის ხელში, სხვის მონობაში დარჩენას და იქ მოპოებულ ბედნიერებას. მას მუდამ თვისი თავის იმედი ქონდა და ამ იმედით გამსჭვალული მედგრათ იბრძოდა, იბრძოდა, ვიდრე სული ედგა და გარემოება ნებას აძლევდა.

ბერძნების ხელში ყოფნით აფხაზებს არ უზარალიათ. სწორეთ ამ მონობის დროს, (551 წ.) იმპერატორმა იუსტინიანემ ბიჭვინდაში ააგო წმ. ღვთისმშობლის სახელზე დიდებული ტაძარი, ომელიც დღესაც ერთს ღირსშესანიშნავ ისტორიულ ნაშთს შეადგენს აფხაზეთის ისტორიული ცხოვრებისათვის.

მეშვიდე საუკუნის გასულს, რომის იმპერატორის ირაკლის მეფობის დროს, აფხაზეთმა ძლივს დააწია თავი დიდი რომის

ქვითინობს ქნარი.

ქვითინობს ჩანგი, ქვითინობს ქნარი,
სიმებზე თრთიან ნაზი თითები...
ვისია მოთქმა, ვისია ზარი,
ვის მოუწამლეს სევდით ფიქრები?
აჰა, ჩამოსწყდა ცრემლი ობოლი,
გულში კვნესამ გაიწკრიალა,
საბრალო სულმა ვერ პოვა ტოლი—
და დაიცალა შხამის ფიალა.
სტირიან სიმნი... ხმა მილეული
სასო დაკარგულ მოთქმათ ინთქება;
ალბათ, ხსნას ეძებს მასში ეული,
ალბათ ნუგეში მასში იქნება.
ჩანგი-კი გოდებს სცურავს ცრემლებში,
ილევა გრძნობა, ილევა გული;
შეგუბებია სევდა თვალებში
და უხმოთ ჭკნება დაობლებული.
არსაიდან ხსნა... კვლავ მოთქმა, ზარი,
ირგვლივ კი სუფევს დუმილი მწარე,
ქვითინობს ჩანგი, ქვითინობს ქნარი,
ბანს ეუბნება გულის სამარე!

დ. ახვლედიანი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

ჩვენს მკითხველებს უკვე ვაცნობეთ, რომ პეტერბურგში შემდგარმა სასამართლომ დეპ. გელოვანს ყოველი ბრალდება ახადა, რასაც კი კერძოთ ევგ. გეგეჭკორი და ამის გაშავებით გაბოროტებული ჩვენი დასელები თავს ახვევდენ. მარ. გელოვანი სასამართლომ გაამართლა, მაგრამ ახლა გაზ. „ბაკინეცს“ დეპეშში მიუღია პეტერბურგიდან, რომ ბატ. გეგეჭკორი კმაყოფილი არაა სამედიატორო სასამართლოს განჩინებით და დეპეშით უცნობებია გელოვანისთვის, რომ სამართლიანად მიაჩნია მის მიერ წარდგენილი საბუთები და კვლავ ახალი ფაქტებით ხელში ახალს სასამართლოს მოითხოვს.

✦ ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე გაჩხრიკეს ქუთაისში ივ. კილაძის სტამბა, ჩხრეკა სამ საათამდი გაგძელდა. დაპატიმრეს რვა კაცი: თვით მესტამბე ივ. კილაძე, „სიმართლის ხმის“ რედაქტორი, ამ გაზეთის სამი ასოთამწყობი და ორიც დამტარებელი. სტამბიდან წაიღეს გაზეთები. სხვათა შორის, წაღებულ გაზეთებში გაზეთი „ერის“ ხუთასამდი ცალი მოყვა, რომელიც ცალკე ნუმრობით გასაყიდათ იგზავნება ქალაქს გარეთ.

დაპატიმრებულთაგანი რედაქტორი და ერთი ასოთამწყობი გუშინ, მეორე დღეს, ოთხ საათზე გაათავისუფლეს. სიმართლის ხმის მე-14 № რედაქტორის დაპატიმრების გამო დღეს არ გამოსულა.

✦ ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა 20 იანვრისთვის არის დანიშნული.

✦ ჩვენ მივიღეთ წ. კ. გ. ს. გამოცემა ალექსანდრე ხახანაშვილის შრომისა: „ქართული სიტყვიერების ისტორია“, უძველესი დროიდან მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდი. წიგნი 577 გვერდს შეიცავს და ღირს ექვს აბაზათ.

✦ მგოსანი ი. ევდოშვილი, რომელიც ამჟამათ სოხუმშია საავიმოთ, თავს ცოტა უკეთ გრძნობსო.

✦ დღეს დ. ხონში კ. აბაშიძის მონაწილეობით ლიტერატურული საღამო გაიმართება წ. კ. გ. ს. ადგილობრივი განყოფილების სასარგებლოთ.

✦ დღეს დ. ლანჩხუთში გ. მეფარიშვილი ლექციას წაიკითხავს—„სიცოცხლის ღირებულობა“-ზე.

✦ თფილისში ცნობილი ყაჩაღის იმერლიშვილის მოკვლის დროს დაჭრილი ბოქაული გამბერგი და მისი თანაშემწე ზუბრიცკი გადაცვლილან.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ.

✦ **ᲗᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.** როგორც ვწერდით, ქ. შ. წ.-კითხვის გამარც. საზოგადოებამ 1913 წელს ორი პრემია გამოაცხადა საუკეთესო თხზულებისთვის. ერთი პრემია არის თ-დ გრიგოლ დადიანის სახელობისა—400 მან. ხოლო მეორე—ნ. ბ. ღოღობერიძის სახელობისა—სამასი მან. 1914 წლის 1 იანვრამდი თხზულებანი წარუდგინეს საზოგადოებას შემდეგმა პირებმა: 1) კ. აბაშიძემ (თ დ დადიანის პრემიის მისაღებათ)—„ეტიუდები ქართულ ლიტერატურიდან (პირველი და მეორე ტომი), 2) სვიმონ ავალიშვილმა (რუსულ ენაზე დაწერილი თხზულება ნ. ღოღობერიძის პრემიის მისაღებათ)—„გლეხთა საკითხი ამიერკავკასიაში“ 3) სოლომონ თამარაშვილმა თვისი ძმის თხზულება ფრანგულ ენაზე „ქართული ეკლესია“ 4) ლვდელმა მელიტონ კელენჯერიძემ „გაბრიელ პისკოპოზი იმერეთისა, მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა“, 5) ვაჟ-ფშაველამ „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ (ეთნოგრაფიული მოთხრობა) და 6) მიხეილ ქაიხოსროს ძემ ყიფიანმა თვისი შრომა ქართული გრამატიკის შესახებ. ამ თხზულებათა გასარჩევათ წ.- კ. საზოგადოების გამგეობა სამს საკონკურსო კომისიას აირჩევს: საისტორიოს, საფილოლოგიოს და სამწერლოს.

✦ სტიპენდიები. ქ. შ. წ.-კითხვის გამარც. საზოგადოებას ამ ჟამათ 4 თავისუფალი სტიპენდია აქვს. მთხოვნელი ამ სტიპენდიებისა 80-დი კაცია.

✦ დაშნაკცაკანების გაზეთი. როგორც გაზეთი „მშაკი“ სწერს, დაშნაკცუტიუნის პარტიას შემდგომლობა აღუძრავს რუსის ელჩის წინაშე სტამბოლში, რომ მთავრობამ ნება დართოს თავისუფლათ გაავრცელოს რუსეთში თავისი პარტიული ორგანო „აზადამარტი“, რომელიც ოსმალეთში გამოდის, თავისი შემდგომლობა პარტიამ იმით დაასაბუთა, რომ იგი აღარ ეწევა პროპაგანდას რუსეთის წინააღმდეგ. ელჩს შემდგომლობა გადაუცია ვორონცოვ-დაშკოვისათვის, რომელსაც შესაფერი ნებართვა უკვე მიუცია პარტიისათვის.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ

ქალაქ ქუთაისის ხარჯის ამკრები ინსპეკტორი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: სახლის პატრონებმა ბინისა (თუ ბინის წლიური შემოსავალი 15 თუმანს აღემატება) და მდგმურთა შესახებ განცხადება უნდა შემოიტანონ ხარჯის ამკრების ინსპეკტორის კანცელარიაში 1 თებერვლამდი. ვინც განცხადების შემოტანას დაავიანებს, მათ ჯარიმა გადახდება. სავაჭრო და სამრეწველო მოწმობა წასული წლის ბოლო თვეში უნდა აეღოთ, მაგრამ ეს წესი ბევრმა არ შეასრულა. ამ თვის უკანასკნელი რიცხვიდან დავიწყებ მოწმობის გარჩევას. ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ მე მოკლებული ვარ ყოველს საშვალებას ვისმესთვის საღავათის მიცემისა. ვისაც მოწმობა არ აღმოაჩნდება, მას შევუდგენ ოქმს, რომლის ძალითაც დაჯარიმებულ პირს სამჯერ მეტი გადახდება იმაზე, რაც მოწმობა დაუჯდებოდა.

თფ. ქართ. დრამ. საზოგადოების საყურადღებოთ.

როგორც ყველას მოეხსენება, ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ, მიმდინარე სეზონის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზისა გამო ვერ შესძლო მუდმივი დასის შენახვა. ამ არა სასიამოვნო მოვლენას თავის დროზე ქართულმა პრესამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. პირველ ხანებში ქუთაისის საზოგადოებას კიდევ ქონდა შემთხვევები შესაფერი ანსამბლით შესრულებული რამდენიმე პიესა მოესმინა, მაგრამ ბოლოს ესეც მოესპო:—თფილისის ქართ. დრამ. საზოგადოებამ დიდი ხარჯების გამო უარი სთქვა ქუთაისში წარმოდგენების მართვაზე და ქუთაისის თეატრი რამდენიმ , სრულიად გამოუცოცელ სცენის მოყვარეთა ხელში დარჩა. ამ დროს კი, ბათომისა, ბაქოსა და ჭიათურის ქართველ საზოგადოებათ საშვალება ეძლევათ ქართული წარმოდგენები კვირაში ერთხელ მაინც ნახონ, იწვევენ ხშირათ ჩვენს დამსახურებულ მსახიობთაც. ჩვენ გვგონია, ეს არა ნორმალური მდგომარეობა შემდეგისათვის მაინც გამოსწორდება, ამჟამათ კი თფ. ქართ. დრ. საზოგადოების საგულისხმოთ ერთი ფაქტი უნდა აღვნიშნოთ.

როგორც გაზეთებიდან ვიცით, იანვრის ბოლო რიცხვებში თფილისის სახაზინო თეატრში ეპირებიან მეშვიდეჯერ საუკეთესოთ დასდგან ჩვენი ნიჭიერი დრამატურგის ი. გედევანიშვილის ახალი პიესა—„ზღაპარი „სინათლე.“ ამ ნაწარმოებმა დიადი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. ჩვენ გვგონია, თუ თფილისის საზოგადოება ღირსი გახდა ეს პიესა შვიდჯერ მოესმინა, ქუთაისის საზოგადოებასაც არ უნდა მოაკლონ წყალობა, რომ ერთჯერ მაინც ნახოს იგი სცენაზე. ამბობენ, ქუთაისის სცენა პატარაა და ამიტომ აქ „სინათლეს“ წარმოდგენა ვერ მოეწყობაო ღირსეულათ. მაშასადამე ჩვენ უნდა ვუცადოთ, ვიდრე ახალი თეატრი, შესაფერისი სცენით გვექნება? ერთობ დაგვიგვიანდება!

მივმართავთ თფ. ქართ. დრ. საზოგადოებას, ნუ მოერიდება ხარჯს, გასწიოს იგი და შეძლებისდაგვარათ გამართოს ამ პიესის წარმოდგენა ჩვენს სცენაზე. და რაც ნაკლი იქნება მოწყობას მხრით, ამას შევურიგდებით და წარმოვიდგენთ. თამამათ შემიძლია იმის თქმა, რომ ამ ჩემი პირადი წინადადებით მთელი ქუთაისის საზოგადოების სურვილს ვხატავ და ეს კი იმის საბუთია, რომ თფ. დრ. საზოგადოება ამ პიესის წარმოდგენით ქუთაისში ზარალს არ ნახავს...

ნიკ. აბესაძე.

სურათები.

რას ვხედავ?

სოფლათ საოცარი სილარიბე ნივთიერი და გონებრივი. შეგნება ნაკლები, ლაპარაკი ბევრი, მოქმედება ცოტა. აბა, შევიდეთ გლეხის სახლში: შუა სოხანეში კერა, ზედ აყრია ცოტა ფაჩხი და პატარა ბიხვი ფუტს; დედაკაცი რალაც ჩვრებს ჩურთნის; დაკონკილი კაბა ტანს ძლივს უფარავს; თავზე დაკონკილი თავსაფარი, საიდანაც თეთრი თმა მოუჩანს. გლეხს ასგან დანასერები ახალოხი აცვია და მის წვივებს, ხამის ან ნარმის საცვალი ძლივს ფარავს; ყალიონს ხშირათ ამოუსვებს ცეცხლში, საიდანაც ნაცარი უფრო ყვება; უპლაკუნებს მაგრამ თუთუნი აღარ არის ყალიონში და ნაცარი ხომ არ დაიწვის. ყაბალახი? როგორ უჩერდება თავზე ეს მარტო ნაგლეჯები? იქვე ჯერას მიფიცხებია ლეკვი; მისი ფერდის ძვლები ყველა ადვილათ დასათვლელია; სულ გულმოსულია, თითქოს ყბები სტკივაო—კრუსუნობს, ღრენს. იქვე ბოგა, მიბმულია ბევრგან განასკული თოკით ერთი შავი ცხვარი და გამხმარი ორი ხარი; ღეჭვენ უსიცოცხლოთ ჩალის ნაღერალებს... ისე არიან გამომწყალულები, ან კი როგორ დგანან ფეხზე. ლოგინი? მოკეცილი; ჭილობ მიფარებული; სასთუმლათ ბტყელი ფიცარი ან ჯირი ჩი, ზედ მიდებული წვირით გალიგნული ბალიში; საბანი დაფლეთილი, ძველი ბამბა, ასეთივე ლეიბი. როკის სახლს თუმცა ბევრი ჯურჯუტანები აქვს, მარა გამდგარი კვამლი ცრემლებს ბლომათ გაღვრევინებს. კარიდან კი ციკი ქარი, და საიდან არ ქრის ეს ციკი ქარი!.. როგორ ცხოვრობთ?—როგორც გვიყურებთ!—ეს ლეკვი, მგონია, მშიერია.—შე მამაცხონებულო, მაგისთვის კი არა, ჩვენთვისაც არაფერი . გვაქვს.—როგორ, თქვენც მშივრები ხართ?—დღეს გვქონდა მჭადი, ღვთით... სხვას ვინღა სჩივა, თუ მჭადი კი ვიშოვეთ.—იქით დაიკარგე ძაღლო!—კრა გლეხმა ხელი ლეკვს. ლეკვი აწაწკანდა და კერას მეორე გვერდით შემოუცუცქდა. დედაკაცმა კოკას ხელი მოავლო და წყალზე გაეშურა. მაღალი თოვლი იდვა და კიდევ სთოვდა.—დედაო, გაგიჭირდება: რატომ კაცი არ წავა წყალზე?—ისიც ფეხშიშველაა, ბატონო.—შვილი არა გყავთ?—გვყავს მარა ჯანდაბა იმას, საცხა დუქანში დადგა და აღარ დიგვეძია.

ბ. სვედიანი.

კონდუკტორებზე.

(გლეხის წერილი.)

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ჩვენი გაჭირვება მოათავსოთ გაზეთში. ღმერთმა აკურთხოს, ვიცლამ „პადიონი კონდუკტორობა“ მოიგონა. სალდათობა რომ გავათავეთ და შინ მოვედით, გავიგონეთ, რომ რკინის გზაში „პოდიონი კონდუკტორებს“ ღებულობენო. მივაშურეთ მაშინვე რკინის გზის უფროსს და ვსთხოვეთ. იმანაც შეხედა ჩვენს გაჭირვებას და ჩვენი თხოვნები მიიღო, მარა **ᲔᲒᲖᲐᲛᲔᲜᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲗᲝ.** წამოვედით, გამოვედით თუარა, ჭიშკართან, აყუდებულა ერთი შავი და მაღალი კონდუკტორი მალაქია გაბრიაძე. სად იყავითო, გვკითხა. ასე, თხოვნები მივეცით, „ნაჩალიკმა“ გვითხრა, ეგზამენია შაისწავლეთ და მიღებული იქნებითო. მალაქიას გაუცინა ულვაშებმა და გვითხრა: ას-ასი მანეთი მომიტანეთ თითომ და მე გასწავლით ეგზამენსო. ჩვენ შეეხვეწეთ—ახალი ნასალდათეგი ვართ და თითო თუმანს დაგვჯერდითქვა, მარა ფენც არ მომიკვდე. რა გვექნა. წავედით შინ. ზოგმა ცხენი გ[illegible] ზოგმა სახლი; წავედით [illegible] დით შენს მა[illegible] ცინა:—აა, ცარიელი არ მოხვიდეთო. შევედით აივანზე, დაგვაჯინა, გამოიტანა, რალაც ინსტრუქცია ყოფილა, მოგვცა, გვაჩვენა, ჩვენც გადავხედეთ დავიზეპირეთ. ახლა კი „უჩიტელივით“ გამოგვართვა და ზეპირათ დაგვიწყო კითხვა. ვუთხარით ზოგმა კარგათ, ზოგმა ცუდათ. ესაა მეტი არაფერი გინდათ, წადით ახლაო. მივედით, ვიცლა მანელოვი ყოფილა ეგზამენატორი. გვკითხა ეგზამენი, ზოგმა ვუთხარით, და ზოგმა ვერა. რომელმაც კარგათ მივუგეთ პასუხი, მაშინვე მიგვიღეს, და რომელმაც ვერა, დღესეც ტყულა დავდივართ. მივედით მალაქია გაბრიაძესთან, ვინც ჩავრჩით და ვუთხარით: ასეა საქმე და ნახევარი მაინც დაგვიბრუნე ფული-თქვა. იმანაც ქართული კი აღარ იკადრა:—»უბედრიტეს, რა მოგიციათ, რას მთხოვთ! თუ კიდევ გნახეთ ჩემს ეზოში, პოლიციასაც დავაჭერიებ თქვენს თავსო“... წამოვედით, რალა გვექნა. თურმე ამისთანა მაგალითი რამდენი უქნია, მარტვა ჩვენზე კიარა სხვა რამდენი, ვინ იცის, დაუსჯია ჩიენსავით. მარა, ვაი შენს მალაქიას მოსწრებას—ამ ბოლოს გაუგო „ნაჩალნიკ ადელენიამ“ და ამოკრა ჰაღური და გადააგდო მიხაილოვში დროებით, საქმის გამოძიებამდი, და მერე, გონია, ოკრიბაშიც აღარ დააყენოს, არამც თუ რკინის გზაში. რომ შეხედოთ სხვა კონდუხტორების ოჯახობას, ხეირიანი კაბებიც არ აცვიათ და გაბრიაძის მეულლე სივილ-სივილით დადის ფარჩა აბრეშუმებში. რა ენაღვლება ქვეყნის ფული.—

„პადიონი კონდუკტორი“

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

„მტვანრეები და ცხოველები ტყეს ქვეშეებში“
დასურათებული
შედგენილი ალექსი ჭაჭინაძის მიერ.

ჩვენ—მშობლები დიდ გაჭირვებაში ვართ: არა გვაქვს ქართულ ენაზე ისეთი საბავშო წიგნები იმგვარი შინაარსისა და ისეთი ენით დაწერილი, რომ ბავში გაიტაცოს, შეაყვაროს ქართული წიგნი და ამით მიაჩვიოს ის სამშობლო ენაზე კითხვას და აზროვნობას. ეს საშინელი ნაკლი კი იმის გამომწვეველია, რომ ჩვენი მოზარდი თაობა ეტანება უფრო უცხო ენაზე დაწერილ წიგნს, ხოლო ეს კი არის უმთავრესი მიზეზი ჩვენი გადაგვარებისა და სულიერი განადგურებისა.

და, აი, როდესაც ისეთ წიგნს დავინახავ ქართულ ენაზე, როგორიც ბ. ალექსი ჭიჭინაძისაა, გული სიამოვნებით მევსება და მასთან ცოტა იმედიც მეძლევა.

ბავშებს ისეთი შინაარსის წიგნი უყვართ, როგორიც ეს წიგნია სხვადასხვა გვარისა და სხვადასხვა ქვეყნის ხალხის, ცხოველისა და მცენარის აწერა, დასურათებული და ბავშისთვის მარტივი ენით დაწერილი.

მართლაც, ეს წიგნი ისე ხელოვნურათ არის შედგენილი, რომ თქვენ კიდევ უფრო რწმუნდებით, რომ ავტორი ამ წიგნისა ცნობილი გამოცდილი პედაგოგია, რომელმაც იცის ბავშის გულის ყოველივე კუნჭული და სულიერი მხარე.

დიაღ, ყოველი შეგნებული ქართველის ნატვრაა, ქართულ ენაზე იყოს საკმაოთ ისეთი წიგნები, რომ ქართველ ბავშს იმ თავითვე შეაყვაროს ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, გააცნოს ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი; შექმნას იგი ნამდვილი მამულიშვილი და მოსარჩლე და მოამაგე თავისი დაჩაგრული და განადგურებული ერისა.

როდესაც დავინახე, რომ ჩემი პაწია ბიჭი გატაცებით კითხულობს ბ. ალექსის წიგნს, გამახსენდა ის, ჩემი ყოფილი მასწავლებელი ბ. ალექსი, რომელიც პატარაობიდანვე გვინერგავდა საშობლო ენის სიყვარულს, გვასწავლიდა, რომ ყოველი პატიოსანი ქართველი, რა მიმართულებისა და აზროვნობისაც უნდა იყოს, სამშობლო გაჭირვების დროს მამულის სიყვარულმა ყველა უნდა გააერთიანოს და გაულვიძოს სამშობლოსათვის თავგანწირვა.

აქიმი ბადრაძე.

უღელს და ეს ქვეყანა საკუთარს, თავისუფალ ცხოვრებას შეუდგა.

—აქედან იწყება აფხაზეთის ზნეობრივი გავლენა მეზობელ ხალხზე, მათი პოლიტიკური ზრდა.

აფხაზეთის მეფეებმა მიზნათ თავისი ქვეყნის გადიდება, ფლობელობის გაშლა-გაფართოება დაისახეს და ამ მიზნის გასახორციელებლათ, ოდიში, იმერეთი ქართლ და ლაზისტანი დაიმორჩილეს.

ამ დროს აფხაზეთის საზღვრებს შეადგენდა: სამხრეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით კისლოვოდსკი, დასავლეთით ანაპა და აღმოსავლეთით ქუთაისი. მეფეთა შორის ყველაზე უფრო ცნობილი და ღირსშესანიშნავი იყვენ: ლეონ II, რომელმაც დაიპყრო მდ. ინგურიდან დაწყებული მდინარე რიონამდი მცხოვრები ხალხი, მდ. რიონის ნაპირზე გააშენა მშვენიერი ქალაქი, უწოდა სახელათ ქუთაისი და ჩადგა შიგ საცხოვრებლათ. მის დროს აფხაზეთის კათალიკოზები გათავისუფლებული შეიქნენ ანტიოქიის პატრიარქის მორჩილებისაგან, გადაიცვალა (806 წ.) და მას შემდეგ გამეფდა **თეოდოსი.** ამან დაიპყრო იმერეთი და ააშენა ქალაქი ხონი. გადაიცვალა (845 წ) თეოდოსის შემდეგ მეფობდა **კონსტანტინე ხარეული,** რომელმაც ააშენა ორი ციხე: ანრლხვა და კულანრლხვა, გადაიცვალა 875 წელს.

პირველი ციხე „ანრლხვა“, დღევანდელი გუდაუთის ახლოს და მეორე „კულანრლხვა“ კი სოხუმის ახლოს იყო. დღეს ამ დიდებული ციხეების მაგიერ, ძველი ვაჟკაცობის ნაშთი,—დანგრეული ციხის კედლებია და აფხაზები დღესაც ამ სახელს უწოდებენ ოდესმე დიდებული ციხის ნანგრევებს... გიორგი მეორემ ააშენა **შესანიშნავი** ტაძარი ჭყონდიდი, ანუ

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ. გადაიცვალა იგი 955 წ. ლეონ მეორემ ჩაუყარა საფუძველი მოქვის მონასტრის შენობას. ეს მონასტერი თუთხმეტი ვერსის მანძილზე მდებარეობს ქალაქ ოჩემჩირიდან და დღეს რუსების დედათმონასტრათ არის გადაკეთებული.

ლეონ მესამემ დაასრულა ეს მონასტერი და დააწესა იგი საეპისკოპოზოთ. გადაიცვალა 957 წ. ლეონი მოკვდა უშვილოთ, მას შემდეგ იყო მეფეთ დემეტრე. იგიც გადაიცვალა 979 წელს.

დემეტრეს შემდეგ გამეფდა თეოდოსე მეორე, ბრმა იგი სასტიკი და მტარვალი მეფე იყო. გადაიცვალა უშვილოთ...

მას შემდეგ მეფეთ აფხაზეთში საქართველოს მეჯის გურგენისშვილი ბაგრატ III დასვეს, რადგან ყველაზე უახლოესი ნათესავი იყო.

მეფე ბაგრატ III-დან, ესე იგი 980 წლიდან აფხაზეთი უერთდება მთელს საქართველოს და ცხოვრობს მასთან საერთო მაჯისცემით, საერთო ჭირ ვარამ-სიხარულით შეკრულ-შეკავშირებული.

აფხაზეთი ამ დღიდან მთელ საქართველოს მკვიდრ-შვილებთან ერთად იწყებს მოქმედებას, პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ზრდასა და ვითარებას. ამგვარი მისი ზდგომარეობა გძელდება მეთორმეტე საუკუნემდი, ესე იგი დავით აღმაშენებლის გამეფებამდი (1089—1130 წ.); აფხაზთა მეფეებს ეწოდებათ სახელი „აფხაზ-იმერეთის“ მეფეებისა.

თეოფ. ხუსკაია.

(შემდეგი იქნება).

ᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სავაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **რუსული კალენდრები** **ტექაპის პორტფელები** (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).

საუკეთესო გამოცემა ოტტო კიხნერისა და სატინის ამხანაგობისა.

ქართული კალენდის და ჯიბის **კალენდრები**

✦ **კალათები ქალალდის ჩასაყრელი.**

რუსეთი

მუშათა ცხოვრებიდან. 10 იანვარს პეტერბურგის ქალალდის ქარხნის მუშებს გამოუცხადეს, რომ 9 იანვრის გაფიცვაში მონაწილეობის მიმღები ყოველი მუშა დაჯარიმებულია 15 შაურით, ამ საქმეზე განმარტების მისალებათ მუშები ქარხნის ადმინისტრაციასთან მივიდენ. გამოირკვა, რომ დაჯარიმების სახით მოგროვილი ფული საავათმყოფო კასას გადაეცემა. ჯარიმის გადახდაზე მუშები დათანხმდენ. სულ დაჯარიმებულია ორი ათასი მუშა.

— პატერბურგის გრადონაჩალნიკის განკარგულებით, 42 მუშასა და სტუდენტს, რომლებიც რევოლუციონურ ხმებს იმღეროდენ და პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს ორი თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯეს.

მოსკოვის უნივერსიტეტი. მოსკოვის უნივერსიტეტში ამ ჟამათ 9390 სტუდენტი სწავლობს. ამ უკანასკნელ ხანებში სტუდენტებში დემოკრატიული ელემენტი ძალიან გაიზარდა. მეჩან სტუდენტთა რიცხვი 392 არის, გლეხთა კი 1190. 13 კათედრა ცარიელია. უნივერსიტეტს 68 პროფესორი და 199 პრივატ-დოცენტი ყავს. უნივერსიტეტმა წასულ წელს 194,265 მანეთის შეწირულობა მიიღო. აქედან 80 ათასი მანეთი პროფესორმა გოლუბინმა შესწირა. სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებამ 1450 სტუდენტს 44, 379 მანეთის დახმარება მისცა.

აკრძალვა. სამარკადის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორმა მერვე კლასის მოწაფეებს ამავე გიმნაზიის მასწავლებლის ლექციის მოსმენა აუკრძალა. მასწავლებელი ლექციას მაქსიმ გორკის თხზულებების შესახებ კითხულობდა.

დახურვა. ცარიცინში ვაჭართა თხოვნით დახურეს ნოქართა პროფესიონალური საზოგადოება, რომელიც თვალყურს ადევნებდა ნორმალური დასვენების წესების შესრულებას.

უცხოეთი

იაპონიის ბრესა. იაპონიის მთავრობა იაპონური ბრესის წინააღმდეგ რეპრესიულ ზომებს ღებულობს. რეპრესიული ზომის მიღება გამოიწვია გარეშე საქმეთა სამინისტროს გამოჩენილი მოხელის მოკვლამ. რამდენიმე დღის განმავლობაში 18 გაზეთი დააჯარიმეს, ზოგი ორასი და ზოგიც ოცდაასი უნით.

დოკუტი. ლონდონში სახლის ამშენებელთა ასოციაციამ 150 ათას მუშას ლოკაუტი გამოუცხადა. ასოციაცია თხოულობს ტრედ-უნიონებმა მიიღონ თავისთავზე პასუხისმგებლობა პირობის დარღვევის გამო. ყველა მუშა უმუშევრობისაგან დაზღვეულია და სახელმწიფოს მათთვის ბევრი ფული დასჭირდება.

ალბანეთში. ალბანეთში არეულობა თანდათან ძლიერდება. დიდ სახელმწიფოებს ალბანეთის საქმეთა შესახებ მოლაპარაკება აქვთ. განზრახვაა—აჯანყებულთა დასამშვიდებლათ გაგზავნონ საერთაშორისო ესკადრა. ამ საკითხის შესახებ სახელმწიფოები ერთი აზრისანი არიან. ევროპის სახელმწიფოებს იმაში ეკვიც კი არ აქვთ, რომ ალბანეთში არეულობის მიზეზი ოსმალეთია. ერთი დიპლომატის აზრით, ევროპისათვის სულერთია ალბანეთში პრინცი ვიდი იმეფებს, თუ ალბანეთი დაიყოფა რამდენსამე ოლქათ, ევროპა მხოლოდ მშვიდობიანობის დამყარების მოსურნეაო.

ზარალი. სამხრეთ აფრიკაში გაფიცვამ დიდი ზარალი მოიტანა. ყოველ კვირაში მილიონი მანეთის ზარალი იყოვო. გაფიცვა ჯერაც არ დასრულებულა. ზოგიერთმა მუშამ მუშაობა განაახლა. ოთხი დაპატიმრებული უკვე გაათავისუფლეს.

მოწოდება

სომხისა და ქართველ ინტელიგენციისადმი.

„ჩვენ მოვუწოდებთ ქართველსა და სომხის ინტელიგენციას.

მოვუწოდებთ ერთობისთვის, ერთმანეთის გაგებისა და შეთანხმებისათვის.

ინტელიგენცია საუკეთესო ნაწილი უნდა იყოს ყველა ერისთვის, ქვეყნისთვის, ყოველი კუთხისთვის. ინტელიგენცია უნდა იყოს ფხიზელი დარაჯი, რათა კავშირი ერთსულოვნებისა, ურთიერთის სიყვარულისა, თანხმობისა ერთიმეორის ჭირისა და ლხინის მოზიარე, ერთმანეთთან კულტურულათ, ისტორიულათ, ეკონომიურათა და პოლიტიკურათ დაკავშირებულ ერებში არათუ შესუსტდეს, არამედ დღითიდღე გაიზარდოს, განვითარდეს და გამაგრდეს.

სრულებით არ უნდა დავფაროთ, რომ კეთილმეზობლური და ძმური ურთიერთობა ქართველებსა და სომხებს შორის ბოლო წლებში დიდათ შეირყა.

გაჩნდა გაუგებრობა, უკმაყოფილება, უთანხმოება. თუ მთელს ერებს შორის არა, ამ ერების ზოგიერთ წრეში მაინც დაიბადა პირდაპირ მტრული განწყობილება, ერთმანეთის უნდობლობა.

დროზე რომ ეფიქრათ სომხებისა და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს ამ გაუგებრობის ახსნა და განმარტება, უეჭველია, ჩვენი დღევანდელი ურთიერთობა სულ სხვანაირი იქნებოდა და ისეთი შემთხვევითი საკითხი, როგორიც არის საბედისწერო საკითხი პოლიტეხნიკუმის ადგილის შესახებ, ვერაოდეს ვერ გამოიწვევდა ისეთ მოუფიქრებელსა და სამარცხვინო მოვლენებს, რომელსაც დღეს ვხედავთ, როცა ზოგიერთი ორგანო ორივე მხრით ცდილობს გაამწვავოს მტრული დამოკიდებულობა.

მშვიდობიანობის სიყვარულისათვის, ერების ურთერთი მეგობრობის იდეის გულისთვის მივმართავთ ქართველსა და სომხის ინტელიგენციას და მოვუწოდებთ—გაუწოდონ ერთმანეთს ხელი, გამოარკვიონ, გააშუქონ გაუგებრობა და უთანხმოება, რომელსაც შეუძლია შეაფერხოს ორი მეზობელი ძმური ხალხის კულტურული განვითარება, მიანიჭოს გამარჯვება რეაქციონურ ძალებს და შეასუსტოს მოწინავე ელემენტები, რომლებიც ასე საჭირო არიან ჩვენის საერთო ქვეყნისა და სამშობლოსათვის, ჩვენი ერების კეთილდღეობისა და აყვავებისთვის.

ჩვენ, სომხები, მადლობით მოვიგონებთ, რომ ქართველი მეფეების დროს სომხის ხალხი საქართველოს საზღვრებში არ განიცდიდა იმ შევიწროებას და დევნას, რომელსაც განიცდიდა ოსმალეთსა და სპარსეთში. აგრეთვე ქართველებმა არ უნდა დაიიწყონ, რომ სომხები საქართველოში სასარგებლო მოქალაქენი იყვენ და ხელს უწყობდენ ქვეყნის განვითარებას, და როგორც მხედარნი, ვაჭარნი და ხელოსანნი ემსახურებოდენ საქართველოს ინტერესებს.

თუ სომხისა და ქართველი ინტელიგენცია შეერთდება და შეიმუშავებს მეგობრულს ურთიერთობას, მოსპობს მიზეზს უკმაყოფილების გამომწვევს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, სომხისა და ქართველი ერები, რომლებიც წინათ მეგობრულათ ცხოვრობდენ, აღადგენენ წინანდელს ძმურ ურთიერთობას.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მოწოდებას ხმას გამოსცემს სალი, მოწინავე დემოკრატიული ქართველი ინტელიგენცია“.

ბ. არაქელიანი

სომ. გაზეთი „მშაკი“.

„ქართული საღამო“ ბათომში

15 იანვარი 1914 წ.

ბათომში ყოველწელია 14 იანვარს იმართება ქართული საღამო, რომლის შემოსავალიც ხმარდება წ. კ. გ. ს. ბათომის ქართულ შკოლას. როგორც სხვამის, წელსაც, 14 იანვარს, ბათომის საკრებულო დარბაზში გამართულმა საღამომ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. საკრებულოს დარბაზი და ქანდარა ხალხით გაჭედილი იყო. აქ შეხვდებოდით ბევრი ეროვნების წარმომადგენელს, სხვადასხვა წრის ხალხს, ბათომის მართველობა ხომ, თითქმის, უკლებლივ იყო ამ საღამოზე, რომლის პროგრამაც უმეტესათ ქართულ გემოზე იყო შედგენილი და ამით საღამოსაც ქართული ელფერი ქონდა. საღამოს მომწყობ მეთაურებს არ დაეზოგათ შრომა და ხარჯი, რომ იგი საგულისხმო გამოსულიყო, და, მართლაც, ეს იყო მიზეზი, რომ საღამომ დიდი შემოსავალი დასტოვა,—როგორც გადმოგვცეს სამასი თუმანიო. საღამო ცოცხალი სურათებით დაიწყო. სურათები ჩვენი ცხოვრებიდან იყო ამოღებული და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა. მეორე და მეოთხე განყოფილებაში მონაწილეობას იღებდა ქუთაისიდან საგანგებოთ მოწვეული ქართველ მომღერალთა გუნდი ბ-ნ მ. და ნ. შარაბიძეების ლოტბარობით. აიხადა ფარდა და სცენაზე გამოჩნდა ორმოცამდი ქალ-ვაჟისაგან შემდგარი გუნდი ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი. გუნდმა საუცხოოთ იმღერა. ბ. გ. თუთბერიძემ მოხდენილათ იმღერა გუნდის აკომპანიმენტით ორი ხმა და შემდეგ ან. შარაბიძისამ და გ. თუთბერიძემვე მშვენიერათ შეასრულეს დუეტი.

მესამე განყოფილებაში კაბარე იყო გამართული. ქ. ეფ. მესხის ასულის მონაწილეობამ შესაფერი ელფერი მისცა ამ განყოფილებას.

დასასრულ გაიმართა ცეკვა. ჯერ ჩვენებური და შემდეგ ევროპიული, რამაც თითქმის დილამდი გასტანა. საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

ბათომელი მომდერალი.

დაბა-სოფელი

ს. რცხილათი (ზემო-იმერეთი). ეს სოფელი წარმოადგენს მთის ადგილს. ამიტომ აქ მოსავალი კარგ წელიწადშიც ნაკლები იცის. წრევანდელი გვალვების გამო მოსავლის მხრით ხომ ცარიელი დავრჩით. ვინახიც ნაკლებათ ხეირობს. მცხოვრებთა რიცხვი აქ 140 კომლამდია, ყველა დიდ გაჭირვებას განიცდის და ჩვენისთანა მიყრუებული და უპატრონო სოფელი მეორეც არ იქნება. არავითარი კულტურული დაწესებულება აქ არ მოიძებნება. იყო წინათ ერთკლასიანი სამრევლო შკოლა, რომელმაც დიდი ჯახირით დალია სული უყურადღებობისა და უსახსრობის გამო. ინტელიგენტები, მართალია, აქ ბევრი არ არიან, მაგრამ ვინც არის, ისიც არ იწუხებს თავს სოფლის საკეთილდღეოთ. ერთს აქაურ მცხოვრებს, რ. ცხადაძეს შევეკითხე: რატომ არ ზრუნავ შკოლის დაარსებისთვის-მეთქი?—მიპასუხა: ვისაც გავლენა აქვს, ის არ ზრუნავს და მე რა შემიძლიაო. სასაციოოთ ისიც კი სთქვა, რომ რცხილათი უბჭყალო ეშმაკებითაა დასახლებული, და ნაკურთხი თუ ვინმე შეასმენს, თვარა უკურთხისას არას დაიჯერებენო. ნაკურთხნიც ძალიან ნაკლებათ იწუხებენ თავს საზოგადო საქმისთვის, ისინი თვისი შინაური საქმეებით უფრო არიან გართული. როგორც სარწმუნოთ გავიგე, აქ „ტარიელ-მკლავაძეც“ ყოფილა. ეს გახლავთ ნარიმან სარალიძე, სახელმწიფო ტყის მცველი. შემოდგომაზე ტყეში ქალები წასულან წაბლის მოსაკრეფათ. ამ ვაჟბატონს ყველა გაუცარცვავს, წაბლი წაურთმევია და თავის სასარგებლოთ ჭიათურაში გაუყიდია. ქალებისთვის თავსაფრებიც წაურთმევია და წაბლიანი კალათებიც, როდემდი დარჩება ეს სოფელი უპატრონოთ?

ტ—ძე.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს.

ეს ერთი კვირაა, რაც ხმა გავრცელდა ხონში თითქოს მე ჩუმი საჩივარი გამეგზავნოს ქანდარმთა სამართველოში ამას წინათ დატყვევებულ ილია რუხაძეზე, რომ ის 1905 წლის მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა და სხვა. როგორც გადმომცეს ჩემი სახელი და გვარი არის მოწერილი ამ წერილის ბოლოს. არ ვიცი, რამდენათ მართალია, და თუ მართალა ამგვარი წერილი არის, ეგ უთუოთ ჩემი პირადი მტრების შეთხზული და გაგზავნილი არის ჩემი სახელის დასამცირებლათ. დარწმუნებული ვარ, ვინც მიცნობს, ამას არ დაიჯერებს, მაგრამ, ვინც არ მიცნობს, შეიძლება, მოტყუვდეს და იფიქროს, რომ მე ასეთს საზიზღარ ცილისწამებასა და ჯაშუშობას ჩავიდენდი. ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ თუ მართალა არის ასეთი წერილი, ეგ ჩვენი ქვეყნის რეაქციით გათამამებული ნაძირალების ნაყოფია. მაგრამ სანამდი უნდათ ამ ვაჟბატონებმა ინავარდონ?!

საზოგადოებამ პირველი მაგალითი არ იცის ამგვარი [illegible] რომ თავის დაგებულ მახეში ერთი ხელაც იქნება თვით გაებმებიან და, ვაი, მათ მაშინ. დღეს კი რა ეთქმის თქვენებრ ზნე-დაცემულ ადამიანებს.

ვ. ჭელიძე.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**

სამეცნიერო-პედაგო-გიური და სალიტერ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.

(წელიწადი მეშვიდე).

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივათ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. **ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ** იღებენ **ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ** მეცნიერები, **ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲨᲔᲓᲐᲒᲝᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲝᲣᲢᲔᲑᲘ.**

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲓᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲠᲓᲐ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲝᲠᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ-ᲐᲦᲖᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲠᲒᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲙᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ; ᲐᲥᲕᲡ ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲓᲐᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘ. **ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ** ᲘᲦᲔᲑᲔᲜ **ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ** ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ, **ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲨᲔᲓᲐᲒᲝᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲝᲣᲢᲔᲑᲘ.**

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲓᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲘᲙᲐᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲐ ᲐᲠᲘᲡ **ᲝᲗᲮᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ**, საზღვარგარეთ 6 მან. 1914 წ. ხელისმომწერლები მიიღებენ საჩუქრათ: **ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსოსა და კომენსკის სურათებს.**

ხელისმოწერა მიიღება **თფილისში:** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავადიშვილთან. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ** ისიდორე კვიცარიძესთან, **ᲑᲐᲗᲝᲛᲨᲘ** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნუმრებიც, თითო 2 აბაზათ.

რედაქცია სთხოვს ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ დროზე **ᲓᲐᲔᲙᲕᲗᲝᲜ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ.**

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія *Л. Г. Боцвадзе.*

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინიციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო-სალიტერატურო-კრებული

„ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ,“

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველო“-ს სასარგებლოთ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ.

ᲑᲠ.—ᲓᲝᲪ: ს. ᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ. დროებით ვადდებულ კვეხთა სკეთხი. **ᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ** ნერვიულ კლინიკისა აქიმი ს. ეიფშიძე: საუბარი ტვინის ფუნქციებზე. **ᲑᲠᲝᲜᲖᲔᲢᲝᲠᲘ ᲐᲜᲐᲢᲝᲛᲘᲣᲠ** თეატრისა აქიმი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). **ᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ** გენერიულ კათეთრაზე აქიმი მ. ცეცხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. **ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ** Შ. ᲥᲐᲒᲘᲐᲠᲐᲫᲔ: ანაბიოზი. **ᲡᲢ.** Ქ. ᲠᲐᲨᲒᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. **ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲮᲔᲓᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲮᲔᲑ. ᲡᲢ.** Ს. ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ. **ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲡᲐᲡᲐᲣᲑᲐᲒᲝᲡ ᲡᲘᲫᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ. ᲡᲢ.** Გ. ᲙᲐᲠᲑᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ (ᲛᲝᲗᲮ. ᲡᲢᲣᲓ. ᲪᲮᲝᲕ.) **ᲡᲢ.** Დ. ᲫᲚᲔᲜᲢᲘ. ᲑᲐᲖᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ. **ᲡᲢ.** Გ. ᲣᲠᲣᲨᲫᲔ. ᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲨᲘ.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ Კ. ᲝᲪᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲥᲣᲩᲐ. Ზ. ᲙᲝᲙᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ. ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲗ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲔᲚᲘᲠᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ 1 მ. 10 შ.

გ. ᲒᲝᲚᲠᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ს. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ

ᲔᲠᲗᲐᲓᲒᲠᲗᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲡᲨᲘ, ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ **ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲒᲝᲣᲛᲔᲘᲡᲢᲔᲠᲘᲡ,** ᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ ᲫᲘᲡ ᲜᲔᲒᲐᲒ-ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲡ ᲑᲔᲛᲡᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲣᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡᲐ, ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲔᲗ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲧᲣᲛᲝᲖᲔᲜᲘᲐᲜᲘᲡ „БЕМСКОЕ“

ᲠᲙᲘᲜᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

საუკეთესო ქარხნებისგან

მიღებული რკინეული

საქონელი: კარის, ფანჯრის
და დუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელეკტრონის ჭარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ᲒᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲠᲘᲚᲐᲗ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲓᲝᲛᲘ ᲤᲐᲡᲐᲗ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეიდის ქუჩაზე № 65

რკინის გზა.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ:	სახალხო	დილის	10	საათ. 6 წ.
	ფოშტის	დილის	11	საათ. 55 წ.
	სახალხო	ღამით	11	საათ. 27 წ.
ᲑᲐᲗᲝᲛᲘ:	სახალხო	დილის	5	საათ. 10 წ.
	სახალხო	ღამით	11	საათ. 27 წ.
	ფოშტის	საღამოს	5	საათ. 21 წ.
ᲤᲝᲗᲘ:	საგარაჯო	დღის	4	საათ. 22 წ.
	სახალხო	ღამით	5	საათ. 10 წ.
	ფოშტის	დღით	5	საათ. 21 წ.
ᲨᲝᲠᲐ�პᲐᲜᲘ:	საგარაჯო	დღით	4	საათ. 57 წ.
ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ:	სახალხო	დილის	7	საათ. 50 წ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲡ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ:	სახალ.	დილ.	7	საათ. —
	ფოშტის	საღამ.	6	საათ. 55 წ.
	სახალხო	ღამ.	1	საათ. 28 წ.
ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲓᲐᲜ:	საფ.-სახ.	დილ.	11	საათ. 14 წ.
	სახალხო	ღამ.	1	საათ. 27 წ.
ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲜ:	საგარ.	დილ.	10	საათ. 3 წ.
	სახალხო	დღით	1	საათ. 20 წ.
	სახალ.	ღამით	1	საათ. 26 წ.
ᲨᲝᲠᲐᲪᲜᲘᲓᲐᲜ:	საგარ.	დილის	9	საათ. 31 წ.
ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲓᲐᲜ:	საღამოს	—	5	საათ. 11 წ.

ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: